რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 12 დეკემბერი 1917 წ.

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола“. კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები—რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола“. გაზეთი ღირს წლის ბოლომდე 4 მ., 1 თვით 2 მ. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 53 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბოლშევიკების) კავკ. საოლქო და ტფილისის კომიტეტების ორგანო. № 53

# შეწყდა ხოცვა-ჟლეტა

## — დამყარდა დროებითი ზავი —

### ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე და კავკასიის ფრონტზე

**გაუმარჯოს საერთო ზავს, გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციას!**

## ქუთაისის გუბერნიაში

მომქმედ ორგანიზაციების და ჯგუფების საყურადღებოთ, ქუთაისის რ. ს. დ. მ. პ. (შეუმრავლესეთა) კომიტეტი აცხადებს, რომ ყოველივე მიწერ-მოწერა და ორგანიზაციების მუშაობის შეკავშირება-შეთანხმება ევალება ამხ. ვას. კანდელაკს. მისამართი მისი (Кутаисъ. Госпитальная № 26).

## მოწოდება გურულ ამხანაგებისადმი.

11 ნოემბერს, დამფუძნებელ კრების არჩევნების წინადღით რამდენიმე ს. დ. ბოლშევიკის ინიციატივით ქ. ოზურგეთში შედგა პირველი დამფუძნებელი კრება ადგილობრივი რ. ს. დ. მ. პ. ბოლშევიკების ჯგუფისა. ჯგუფი მოქმედებს და მის წინაშე მრავალი საჭირბოროტო კითხვები ისმება, რომლებიც უკვე მომწიფებულია დღეს გურიაში და დაუყონებლივ ორგანიზაციულათ გადაჭრას მოითხოვს. ამასთან ერთათ გურიის სხვა და სხვა სოფელში გაფანტულია ბევრი ჩვენი ამხანაგი, რომლებიც მოწყვეტილი არიან ერთმანეთს და ამიტომ საერთო მოქმედობას აშორებულნი. დღევანდელი საპასუხისმგებლო მომენტი თვითეულ ჩვენგანს მოუწოდებს გამოფხიზლდეს და თავის წვლილი შეიტანოს საერთო საქმეში.

ყველა ზემოხსენებულ მიზეზების გამო ოზურგეთის ჯგუფმა რ. ს. დ. მ. პ. (ბოლშევიკებისა) გადაწყვიტა მოიწვიოს ქ. ოზურგეთში ამა წლის 19 დეკემბერს, კვირას, დილის 11 საათზე კონფერენცია ყველა გურიაში მომუშავე ბოლშევიკებისა. ჯგუფი იმედოვნებს, რომ ამხანაგები ყურთ არ შეხვდებიან ამ მოწოდებას, აუცილებლათ მიიღებენ მხურვალე მონაწილეობას კონფერენციაზე და დაწყებულ საქმეს შესაფერათაც დააგვირგვინებენ.

დღის წეს-რიგი:

1. მოხსენებები ადგილებიდან.
2. მიმდინარე მომენტი.
3. განწყობილება სხვა და სხვა პარტიებთან.
4. ჩვენი პრესა,
5. ორგანიზაცია.
6. სხვა და სხვა კითხვები.

P. S. ეს მოწოდება უმთავრესათ ეხება ორგანიზაციულათ შეუკავშირებელ გურიაში მომუშავე ბოლშევიკებს.

მისამართი მოსალაპარაკებლათ ამხანაგებისთვის: ოზურგეთი, ქალაქის აფთიაქი.

ბიურო ოზურგ. ბოლშევიკური ჯგუფის

## კალედინი მარცხდება.

კალედინმა სასტიკი ომი გამოუცხადა მუშების და გლეხების მთავრობას. ის წაუძღვა კაზაკებს და ჩრდილო-კავკასიაში იწყო თარეში მან გაანადგურა რევოლიუციონური ქალაქები, ცეცხლსა და მახვილს მისცა მთელი მხარე, გაამხრა რკინის გზები და შიმშილით ამოწყვეტა მოუნდომა იმ კუთხეებს, სადაც მას ხელი არ მიუწვდებოდა.

რუსეთის ცენტრიდან დაიძრა რევოლიუციონური ლაშქარი კალედინის შესამუსრავათ. ბალტიის, შავი ზღვის ფლოტის და კრონშტადტის მატროსები, წითელ გვარდიის მუშები, რევოლიუციონური ჯარები შეერთებული ძალით ეკვეთნენ კადეტების ოქროთი ზურგ-გამაგრებულ კალედინს და დასძრეს იგი თავისი ბუნაგიდან. სწარმოებს გაფთრებული ბრძოლა რევოლიუციასა და კონტრ-რევოლიუციას შორის და მთელი მხარე დარაზმულია ორი მოსისხლე მტრის ბანაკათ.

რას შვრებიან ამ დროს კავკასიის მენშევიკ-ესერები, რა მონაწილეობას იღებენ ისინი ამ ბრძოლაში? ვის მხარეს არიან, ვის ებრძვიან?

ამის პასუხი აშკარაა იქიდან, თუ როგორ უყურებენ ისინი რევოლიუციის მოწინავე ლაშქარს—ბოლშევიკებს. მათ ომი გამოუცხადეს არა კალედინს, არამედ ბოლშევიკებს; ისინი მოუხმობენ არა კალედინის, არამედ ბოლშევიკების დასამხობათ. მთელი თავისი ძალღონით ისინი ბოლშევიკებს ებრძვიან, მათზე უარესი მტერი მათთვის არ არსებობს. ამით ისინი სავსებით გაუთანასწორდენ კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიას, მათ სავსებით შეითვისეს კონტრ-რევოლიუციის შეხედულება და მისი ბრძოლის მეთოდები.

დღიდან ამიერ კავკასიის კომისარიატის დაარსებისა ჩვენ აღვნიშნავდით, რომ მენშევიკ-ესერები კალედინთან არიან კავშირში ლენინის წინააღმდეგ, მათ ვერ უარყვეს კალედინთან კავშირი, ხოლო ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა თვალსაჩინო პროვოკაციით დაამტკიცეს.

ახლა ისინი ფრონტს იცვლიან და კალედინის წინააღმდეგ ბრძოლას აპირებენ. დღეს აპირებენ და დღემდე კი, მათივე სიტყვით რომ ვთქვათ, „ყურზე ეძინათ“. მებრძოლებიც ასეთი უნდა. მაგრამ ვნახოთ, ახლა მაინც როგორ აპირებენ ისინი ბრძოლას, აი რას სწერენ ისინი თავის გაზეთ „ერთობაში“:

„ჩვენ ვიცით, კალედინის წინააღმდეგ გალაშქრება მოგვიხდება, მაგრამ ამას ვიზამთ ჩვენ არა ლენინის დროშის ქვეშ, არამედ საკუთარ სოციალ-დემოკრატიულ დროშის ქვეშ და ყველა იმ ელემენტებთან, ყველა დემოკრატიულ ჯგუფებთან ერთათ, რადგან გამარჯვებას მხოლოთ ასეთი შეერთება მოგვანიჭებს“.

რას ნიშნავს ეს აბდა-უბდა, „ყველა იმ ელემენტებთან“ კავშირი?

ეს ნიშნავს, რომ კალედინი მარცხდება და მისი მოკავშირე მენშევიკ-ესერები დროიანათ უკან იხევენ. ეს ნიშნავს, რომ კავშირმა ვერ იხსნა მენშევიკ-ესერები, ვერაფერი შესძინა კალედინსაც. კალედინი გასწირა ისტორიამ, მენშევიკებიც მზათ არიან მას ქვა და გუნდა მიაყარონ, თუ კარგათ დარწმუნდებიან, რომ კალედინს აღარა უშველის რა.

სად იყვნენ აქამდის ეს ვაჟბატონები? ვის ევალებოდა ჩრდილო-კავკასიის შველა, თუ არა ამიერ კავკასიის რევოლიუციონერებს?

მენშევიკ-ესერებს მოლაპარაკება ქონდა გამართული კალედინებთან პურის მოწოდების და ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ისინი თფილისში იწვევდენ კალედინ-კარაულოვებს საერთო გეგმის შესამუშავებლათ. ჩვენ არ ვიცით რა პირობებში სწარმოებდა მათი შეთანხმება, რამდენს თხოულობდა ერთი ან მეორე მხარე, აშკარაა მხოლოთ, რომ ეს კონტრ-რევოლიუციონერების შეთანხმება იყო რევოლიუციის ძალების წინააღმდეგ. კალედინი მარცხდება და კონტრ-რევოლიუციონერების კავშირიც ირღვევა.

გუშინდელი მოკავშირეები (და შეიძლება დღევანდელიც) რაღაცას ფართი ფურთობენ, კალედინის წინააღმდეგ ბრძოლას ეპირებიან. მაგრამ ვიცით, რა ფასი აქვს მათ დაპირებას, პირველი არ არის მათი ფრონტის ცვლა და ესეც უკანასკნელი არ იქნება.

რევოლიუციონური ხალხი შეუბრალებლათ გაანადგურებს კალედინებს და ყველა მათ მოკავშირეებს.

კალედინი მარცხდება, მისი მოკავშირეები უკან იხევენ.

## ზავი

2 დეკემბერს ბრესტში ხელი მოაწერეს პირობებს, რომლის ძალითაც დამყარდა დროებითი ზავი შავი ზღვიდან ბალტიის ზღვამდე და აგრეთვე კავკასიის ფრონტზე.

შეწყდა ხოცვა-ჟლეტა ათასი ვერსის მანძილზე. რუსეთის დიდებულმა რევოლიუციამ სიკვდილიდან იხსნა გერმანიის და რუსეთის სალდათები. რუსეთ-გერმანიის ასპარეზე ჩამოვარდნილი დროებითი ზავი უდიდესი ნაბიჯია საერთო ხოცვა-ჟლეტის შესაწყვეტათ. მას მოყვება დროებითი ზავი ყველა ფრონტებზე. საფრანგეთ-ინგლის-იტალიის იმპერიალისტებიც იძულებული გახდებიან ქედი მოიხარონ რუსეთის რევოლიუციის წინაშე და ხელი აიღონ გამანადგურებელ ომზე. მათი ხალხი გადალახავს მთავრობების ჯიუტობას და შეუერთდება რუსეთის ძლევა-მოსილ პროლეტარიატის თავგანწირულ ბრძოლას, რომელიც დაიხსნის კაცობრიობას ომის საშინელებიდან და დაამყარებს ხალხთა შორის ძმობას.

ზავი ახლოვდება, ომს ბოლო ეღება. პროლეტარიატი გამარჯვებას დღესასწაულობს, მისი მტრები ძაძით იმოსებიან. ისინი ვეღარ იჯირითებენ ხალხის ზურგზე, ვეღარ გაგზავნიან სასაკლაოზე მილიონობით ხალხს და ვეღარ დაიტენიან ომის წყალობით თავის უძირო ჯიბეებს. მართებთ ტირილი, მართებთ გლოვა. იტირონ რამდენიც უნდათ მხოლოთ წინ ნუ უდგებიან გამარჯვებულ ხალხს,—ის დაუნდობლათ გადალახავს ყველა თავის მტერ-მოყვარეს და ორგულს.

2 დეკემბერს დიდებული აქტი შესრულდა და ტყუილა ცდილობენ ხალხის მტრები მის დამცირებას. აქ მოხდა პირველი გამარჯვება რუსეთის რევოლიუციისა გერმანიის იმპერიალიზმზე. ხალხის აშკარა და ფარული მტრები კი გაკივიან, ვითომ მუშების და გლეხების მთავრობამ გერმანიის იმპერატორის წინაშე წამოიჩოქა, ვითომ გერმანიის იმპე-

რიალისტებს ამ ზავით შეძლება მიეცათ რუსეთის ფრონტიდან სხვაგან მიაშველონ ჯარები და გაძლიერებული მხედრობით ეძგერონ საფრანგეთ-ინგლის-იტალიის დემოკრატიას. სტყუიან უსირცხვილოთ! ამას მართლა ფიქრობდა იმპერიალისტური გერმანია, და დროებით ზავზე მოლაპარაკებაც მიტომ გაგრძელდა ამდენ ხანს, რომ გერმანია არ თანხმდებოდა რუსეთის მთავრობის პირობებზე. ბოლოს გატყდა გერმანიის გულზვიადი მთავრობა და დასთანხმდა ჩვენი მთავრობის ნაკარნახევ პირობებს. მას უფლება არა აქვს მოხსნას რუსეთის ფრონტიდან ჯარი და ის სხვა ფრონტზე გადაიყვანოს. რუსეთის რევოლიუციამ გასტეხა გერმანიის იმპერიალიზმი, რომელსაც ქედი ვერ მოახრევინა სამ წლინახევრის გააფთრებულმა ომმა. რუსეთის რევოლიუციამ პირნათლათ შეასრულა თავისი მოვალეობა ევროპის დემოკრატიასთან, რომელსაც ვერ შეესევა გერმანიის განთავისუფლებული ჯარი და ამით მას შეძლება ეძლევა თითონაც გადადგას რევოლიუციონური ნაბიჯი ზავის დასამყარებლათ.

ამ ფაქტს მალავენ ხალხის მტრები, ამ ფაქტს უნამუსოთ ამახინჯებენ მისი ორგულნი!

რისთვის სჩადიან ამას?

რომ სახელი გაუტეხონ ხალხის მთავრობას, რომ მის წინაალმდეგ აამხედრონ მათგან მოტყუებული ხალხი.

ტყუილი ფიქრია. ხალხი გაიგებს მთელ სიმართლეს, ის მედგრათ დაუჭერს მხარს ზავის მთავრობას, მუშების და გლეხების მთავრობას.

კერძოთ, კავკასიის ხალხიც მალე მიხვდება მენშევიკ-ესერების თაღლითობას, რომლითაც ისინი ცდილობენ ხალხს მოაჩვენონ, ვითომ კავკასიის ფრონტზე დამყარებული ზავი მათი წყალობა იყოს! ძირს ეს ხალხის მატყუარები, ეს ახალმოდის შანტაჟისტები! კავკასიის ფრონტი მთელი რუსეთის ფრონტის ნაწილია და რაც სავალდებულოა მთელი რუსეთისთვის, ის სავალდებულოა კავკასიისთვის როგორც ომის, ისე ზავის საკითხში. რომელი რეგვენი დაუჯერებს ამ რუსეთის რევოლიუციის პარაზიტებს, რომ ოსმალეთის მთავრობა ზავს შეკრავს გერმანიის დაუკითხავათ მასთან შეუთანხმებლათ! ვის ასულელებენ ეს სინდისზე მწყრალი ვაჟბატონები?

ისინი არ სცნობენ რუსეთის მუშების და გლეხების მთავრობას და ამავე დროს, რაც ამ მთავრობამ მისცა მთელ ხალხს ზავის საქმეში, თითონ ითვისებენ. ფრთხილათ, ბატონებო! ხალხის მოტყუება დიდხანს არ შეიძლება.

თქვენ რვა თვეს თელეთ ბურჟუაზიასთან ერთათ მინისტრების სავარძლები და უსირცხვილოთ აჭიანურეთ ომი. ხალხმა დაამხო ბურჟუაზიის მთავრობა და თქვენც ზედ მიგაყოლათ. ახლა კავკასიაში იპოვეთ თავშესაფარი, აქ შექმენით მინისტრების პორთფელები და ერთმანეთში ჩამოირიგეთ. თქვენ ებრძვით ზავის მთავრობას, ის ზავს ამყარებს; თქვენ ებრძვით ხალხის მთავრობას, ის ხალხს ანთავისუფლებს; თქვენ მხარს უჭერთ კალედინებს მასთან ბრძოლაში, ის ამარცხებს და მალე შემუსრავს კალედინ-კორნილოვ-კადეტურ კონტრ-რევოლიუციას და თქვენც აშკარაზე გამოგიყვანს.

გაუმარჯოს ზავს! გაუმარჯოს მისთვის მედგარ მებრძოლ მუშების და გლეხების მთავრობას!

# პ რ ე ს ა.

მენშევიკების „ერთობა" ლამის ჭკუიდან შეიშალოს იმ რეპრესიების გამო, რომლებსაც სახალხო კომისარების საბჭო ხალხის მტრების წინააღმდეგ ხმარობს. მას აგონდება სახელოვანი პარიზის კომუნა, რომელიც სისხლში ჩაახრჩო გამარჯვებულმა კონტრ-რევოლიუციამ. აი რასა სწერს ამ მოგონებაზე მენშევიკების გაზეთი.

„თვით პარიზის კომუნის დროს, როცა პარიზის პროლეტარიატი ტიქტატურულ უფლებით იყო აღჭურვილი და რამდენიმე თვის განმოავლობაში პარიზის მუშები პოლიტიკურათ ბატონობდენ, მათ არც ერთი ძალმომრეობითი ნაბიჯი არ გადაუდგამთ. იმ დროს, როცა მთელი უფლება მათ ხელში იყო, ტიერის მომხრეები, ვერსალის მთავრობის აგენტები პარიზიის ქუჩებზე თავისუფალ დემონსტრაციასაც კი ახდენდენ და ასე კომუნის წინააღმდეგ აგიტაციას ეწეოდენ. მიუხედავათ ამისა, ისინი მათ წინაალმდეგ არავითარ რეპრესიებს არა ხმარობდენ."

სწორეთ მეორეთ მოსვლის ნიშნებია: ასეთი ამბები ქვეყანას არ მოსწრებია — ფიქრობს აზრ-დაფანტული მეშჩანინი და უცნობი მომავალის შიშით გზა-დაკარგულიააშკარავებს, რომ მას შეჩვეული ჭირი ურჩევნია შეუჩვეველ ლხინს, ბურჟუაზიის ბატონობა ურჩევნია პროლეტარიატის დიქტატურას! ან კი როგორ არ შეაჩვენოს რუსეთის რევოლიუციონური მთავრობა! პარიზის კომუნას მაინცა გავდეს, მასავით ლმობიერი და გაუბედავი მაინც იყოს იგი!

გამოტყდით, რომ თქვენ გენატრებათ, რუსეთის რევოლიუციასაც ისა ხვდეს წილათ, რაც პარიზის კომუნას დაემართა, თქვენ გენატრებათ რუსეთის რევოლიუციის დამარხება.

მაგრამ ვერ მოესწრებით მაგ დღეს, რუსეთის რევოლიუცია სძლევს ყოველ დაბრკოლებას და სამუდამოთ დაამხობს მტარვალობას. ამაოა თქვენი კვნესა, ბურჟუაზია ველარ იხილავს თავის ხელში ძალა-უფლებას.

## მეგობარ მკითხველებს.

ადგილობრივი პრესა გვიკიჟინებს, რომ ჩვენ „ვაცოდვილებთ" ჩვენს გამოცემებს. რამდენიმეთ ეს მართალია. ჩვენი პარტია პროლეტარიატის, ღარიბესი ნაწილის პარტიაა. ჩვენს პარტიას არ შეუძლია მატერიალურათ უზრუნველყოს თავისი ორგანოების რედაქტორ-თანამშრომლები, ისინი იძულებული არიან კაპიტალისტს მიჰყიდონ თავიანთი შრომა ლუკმა პურისთვის და დანარჩენი დრო შესწირონ პარტიულ საქმეს უსასყიდლოდ. ჩვენს რედაქციებში არ შემოვლენ ისეთი პირები, რომლებიც რაიმე თავიანთი ცოდვების მოსანანიებლათ ათასობით სტოვენ ფულებს, რასაც ქონია ადგილი სხვა რედაქციებში. ჩვენ არა გვაქვს საშვალება ვაგონობით ქაღალდის შეძენისა, როგორც შვებიან ამას სხვა რედაქციები; ჩვენ არა გვაქ შეძლება სტამბის შეძენისა. ჩვენ იძულებული ვართ ოზმობით ვიყიდოთ ქაღალდი და ვბეჭდოთ ჩვენი გაზეთები ისეთ სტამბებში, რომლებიც უფრო იაფათ დათანხმდებიან ბეჭვდას. რა თქმა უნდა, ტეხნიკურათ კარგათ მოწყობილი სტამბა არ დაათანხმდება იაფი სამუშაოს აღებაზე. ქაღალდის და სტამბის უქონლობის გამო ჩვენ ხშირად იძულებული ვართ შევამციროთ გაზეთის ტირაჟი, რაც თავისი მხრით ცუდათ მოქმედობს ჩვენი იდეის ფართოთ გავრცელებაზე და გამომცემლობის მატერიალურ მხარეზე. ჩვენი რედაქცია ღებულობს აუარებელს საყვედურის წერილებს, რომ გაზეთები თავის დროზე არ მისდით, რომ გაზეთი ცუდ ქაღალდზე და ძველი ასოებით იბეჭდება და სხ.

ყველა ამ არა ნორმალური მოვლენების მიზეზია ჩვენი მატერიალური მდგომარეობა. გაზეთს არ შეუძლია დღევანდელ პირობებში იარსებოს მარტო თავისი შემოსავლით, თუ მას სხვა წყაროები არა აქვს. ბურჟუაზიული გაზეთები უმეტეს ნ წილათ განცხადებებით საზრდოვობენ. პროლეტარიატის პრესა კი ამ წყაროს მოკლებულია. ერთათ-ერთი საშუალება ჩვენი პრესის არსებობისა არის მკითხველ-მეგობრების დახმარება. ჩვენ მივმართავთ ჩვენს მეგობარ-მკითხველებს და ვთხოვთ მიიღონ ყველა ეს მხედველობაში და შეძლების და გვარათ გაგვიწიონ დახმარება.

აგრეთვე მივმართავთ ადგილობრივ ორგანიზაციებს და ჩვენს აგენტებს თხოვნით, რომ ეხლა დაჩქარებით და შემდეგში თანდათანობით გაუსწორონ პირნათლათ ყოველივე ანგარიში გამომცემლობის კანტორას.

ამხ ნაგური სალამით გამომცემლობის კოლექტივი.

# პროტესტი.

კვირას, 10 დეკემბერს, მენშევიკებმა მოაწყეს მიტინგები პროტესტის გამოსაცხადებლათ. რვა თვე ისე გავიდა, რომ არა თუ მიტინგი არ მოუწყვიათ, ერთი უხეირო სტატიაც არ დაუწერიათ პროტესტის გამოსაცხადებლათ. ეს კერენსკის მეფობის ხანა იყო და მენშევიკები მშვენივრათ გრძნობდენ თავს. პროტესტი მათ საჭიროთ არ მიაჩნდათ.

მერე განა სიდუხჭირე სჭირდა კერენსკის მთავრობას, რომ მენშევიკებმა ერთი პროტესტიც ვერ გაიმეტეს? კერენსკიმ სიკვდილით სასჯელი აღადგინა ფრონტზე—მენშევიკები სდუმდენ. კერენსკიმ იარაღი აყარა რევოლიუციონურ სალდათებს და მუშებს—მენშევიკები კრინტს არ სძრავდენ. კერენსკიმ დახურა მუშების და სალდათების გაზეთები—მენშევიკებს ერთი სიტყვაც არ უთქვამს ამის შესახებ. კერენსკიმ აუშვა ცილისა მწამებელთა მთელი ხროვა და მიუსია ბალშევიკებს: მათ დასწამეს გერმანიის აგენტობა, პროვოკატორობა, ჯაშუშობა. რა ქნეს ამ დროს მენშევიკებმა? ოო, ამ დროს მათ ხმა აღიმაღლეს და ყველაზე ბინძურ ცილისმწამებლებს გადააჭარბეს ცილისწამებაში. აი მთელი რევოლიუციონური ნამსახურობითი სია მენშევიკებისა კერენკსის მთავრობის დროს. არც ერთი პროტესტი, არც ერთი ოდნავი უკმაყოფილება, არც ერთი ხმის ამაღლება.

დღეს აცხობენ ისინი პროტესტებს. ვის წინააღმდეგ? მუშების და გლეხების მთავრობის წინააღმდეგ. მარტო არ არიან ამ სასახელო საქმეში. მათთან ერთათ ხელს აწერენ ყველა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ—შოვინისტური პარტიები. კარგი კომპანიაა მენშევიკების საოლქო კომიტეტის მეთაურობით ბალშევიკების წინააღმდეგ.

რას შეეხება პროტესტი? ის, რაც აწუხებს კადეტებს, არც მეტი და არც ნაკლები. ორმოც კადეტს უნდა თავის თავი დამფუძნებელ კრებათ გამოაცხადოს, მთელი ძალა უფლება ხელთ ჩაიგდოს, სახალხო კომისრების საბჭო ძირს ჩამოაგდოს, მისი გამოცემული დეკრეტები და რევოლიუციონური ნაბიჯები ზავის, მიწის და სხვათა შესახებ გააბათილოს, კონტრ-რევოლიუციონურ კორნილოვ-კალედინებს მშვიდლათ და მფარველათ მოევლინოს და ბურჟუაზიის ბატონობა გაამაგროს. მენშევიკებსაც ეს უნდათ. მათი აზრით, რევოლიუცია ბურჟუაზიულია და მაშასადამე ბურჟუაზიის ბატონობა ღვთისაგან დაკანონებულია.

ისინი უერთდებიან კადეტებს, კალედინებს, კონტრ-რევოლიუციონერებს და მათთან ერთათ გაჰკივიან: ძირს ბალშევიკებიო!

ჩვენი პასუხია: ძირს ყველა ჯურის კონტრრევოლიუციონერები, გაუმარჯოს რევოლიუციონურ ხალხს, გაუმარჯოს მშრომელი და გაყვლეფილი ხალხის დამფუძნებელ კრებას.

## რუსეთის რევოლიუცია და გერმანელი სალდათი

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტიდან გაზ. „პრავდას" რედაქციას ატყობინებენ შემდეგს:

ძველი შედგენილობის საარმიო კომიტეტების რწმუნების წინააღმდეგ, ვითომ გერმანელები რუსეთის წინააღმდეგ ახალ შეტევას იწყებენო, უეჭველ ფაქტათ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მორიგება ფრონტზე უკვე დაწყებული იყო სალდათების მხრით, როცა ამას მართველი წრეები შეუდგენ; საარმიო ძველ კომიტეტებთან ერთათ გენერლებიც მორიგების წინააღმდეგ წავიდენ. მაგალ. გენერალმა ეგოროვმა ბრძანება გასცა მოულოდნელათ, რომ დივიზიას 120 ვერსით უკან დაეხია, მაგრამ სალდათები გენერლის პროვოკაციას არ აყვენ: პირიქით მათ გერმანელ და ავსტრიელ სალდათებთან დაძმობილება გააძლიერეს და ამით ნამდვილ მორიგებას მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს.

სანგრებშორის ნეიტრალურ ტერიტორიაზე მიტინგები იმართება. ხვრელებიდან და თხრილებიდან, რომლის თავებზე თეთრი ბაირაღები ფრიალებენ, ამოდიან ჯარის კაცნი აქედან-იქიდან, როგორც ბუნაგებში მიმალული ნადირნი, და გუშინდელი მოსისხლე მოპირდაპირეები ერთ ალაგს თავს იყრიან; სდგება ჯგუფები აქა-იქ 30—50 კაცისგან და სასწრაფო, მფრინავ კრებებს მმართავენ. ხანდახან მონაწილეთა რიცხვი 100—150 ს აღწევს. გუშინდელი „მტრები" ერთმანეთს ესაუბრებიან, ეკამათებიან, ზოგი პოლონურათ, ზოგი გერმანულათ, ზოგიც რუსულათაც.

—კიდევ გვესვრით? ეკითხება რუსი გერმანელს „არაო"—უპასუხებს ეს უკანასკნელი.

—„აფიცრებმა, რომ გიბრძანონ?

—„აწი ველარ შეგვაცდენენ," უპასუხებს მტკიცეთ და გადაჭრით გერმანელი. და მართლაც ამ უკანასკნელ დღეებში რაღაც ახალი რამ ხდება გერმანიის ჯარში.

სხვათა შორის ერთი ასეთი მაგალითიც იყო. ერთხელ საერთო მიტინგის დროს გერმანელმა სალდათებმა ერთი ჩვენი ამხანაგთაგანი, ექიმი მ. თავის სანგრებში მიიწვიეს. ამხ. ექიმი სავსებით დაენდო მათ და გაყვა. გერმანელებმა თავიანთ სანგრებში მიტინგი გამართეს, სადაც ჩვენმა ამხანაგმაც ილაპარაკა. მოვიდენ გერმანელი აფიცრებიც,

მარა მიტინგი ვერ დაშალეს. ოფიცრების მოთხოვაზე, რომ რუსი ექიმი უკანვე გაეყვანათ, სალდათებმა უარით უპასუხეს და განაცხადეს, რომ რუსი ექიმი მათი ძვირფასი სტუმარია. მიტინგზე, რა თქმა უნდა, რამდენიმე გერმანელმა სალდათმა ილაპარაკა, რომლებიც თავიანთ სიტყვებს შემდეგი ლოზუნგით ათავებდენ: „გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას“!

ტყვილა კი არ აღელვებს გერმანელ გენერლებს ის ფაქტი, რომ გერმანიის ჯარში ძალიან ფართოთ ვრცელდება რუსი რევოლიუციონერების პროკლამაციები. შეუძლებელია, რომ მუშათა და სალდათთა აჯანყებამ რუსეთში ფრონტის იქეთაც გერმანელთა საგრეზშიაც გამოხმაურება არ გამოიწვიოს.

## ყაზახობა და კალედინის „მთავრობა“.

დონის მხრის და ჩრდილო კავკასიის ადგილობრივი ბურჟუაზიული პრესა (როგორც „ლისტოკ ვოინისა“) დიდი ქებათაქებას ასხამს კალედინის „მთავრობას“ და მის „ძლევა მოსილობას“ მთელ კავკასიასა და სამხრეთ რუსეთის მიდამოებს აუწყებს. მაგრამ, როგორც პირადათ განვიცადე, ყველაფერი ეს ტყუილი გამოდგა.

როდესაც კალედინის „სატახტო ქალაქ“ ნოვოჩერკასკიდან როსტოვში მოვედი (8 ნოემბერს) მეტათ გამაკვირვა იმ გარემოებამ, რომელიც სრულიადაც არ გამოხატავდა მას, რასაც ყვითელი პრესა უხატავდა საზოგადოებას. სადგურის კედელზე, დავინახე განცხადება, საიდანაც ჩანდა, რომ როსტოვსა, ნოვოჩერკასსსა, ტაგანროგის ოლქსა და აზოვის მიდამოებში სამხედრო წესები იყო გამოცხადებული. განცხადებაზე ხელი უწერია კალედინს. სადგურის წინ დავინახე ჯარის კაც. სექციის წევრი და პატრულები. შევეკითხე მათ: კალედინის უფლებას სცნობენ ისინი თუ არა? მათ მიპასუხეს, რომ ისინი კალედინს არ გაყვებიან, ყაზახები საბჭოების წინააღმდეგ არ წავლენო. კალედინს მხოლოთ ნოვოჩერკასკში შეუძლია ბრძანებლობდეს და სწეროს განცხადებები, რადგანაც იქაური საბჭოები მის მხარეზეა. მართლაც 8 ნოემბრამდე არც ერთი ის პუნქტი, რაც იმ განცხადებაში იყო, მოხსენებული სისრულეში არ მოუყვანიათ. მარტო ტაგანროგის სადგურზე აღმოჩნდენ ყაზახების პატრულები, როდესაც ყაზახების მთავარ ოფიცერს შევეკითხე კალედინის განცხადებაზე და მიუთითე ამ განცხადების სიმკაცრეზე, რაც ყაზახების მშვიდობიან ცხოვრებას სრულიადაც არ შეეფერება მეთქი, ზოგიერთა ხნიერმა ყაზახმა მიპასუხა, რომ ისინი ჯერ კიდევ მეფის დროსაც არ ემორჩილებოდენ მთავრობას ძალით და მით უფრო დღეს, როცა თავისუფლებას მოვესწარით „მეტათ დიპლომატი“ უნდა იყოს ის კაცი, რომელიც იფიქრებს, რომ ყაზახებს რომელიმე მთავრობა ძალით დაიმორჩილებსო.

ახალგაზრდა ოფიცრებმა უარყვეს ასეთი განმარტება. მათ გაალცხადეს, რომ ტაგანროგში, როგორც ვხედავთ სამხედრო წესები ხორციელდება, ვორონეჟში კი კალედინის ძალა-უფლებაა გამტკიცებულიო. საბუთად მოყავდათ „ლისტოკვოინიდან“ ტელეგრამა სადაც ეწერა, რომ ვორონეჟი კალედინის ჯარმა დაიკავაო. ერთმა ცოტა უფრო ხნიერმა ოფიცერმა სიცილი ვერ შეიკავა. მან დაამტკიცა, რომ ის გუშინ ნოვოჩერკასკში იყო, განუწყვეტლივ სამხედრო წრეს არ გაცილებია და არა თუ რაიმე ლაპარაკი, არამედ ფიქრადაც კი არავის მოსვლია ვორონეჟის საწინააღმდეგოთ ზომების მიღებაო. ახალგაზრდა ოფიცერი მეტათ გააცხარა ასეთმა საბუთიანმა პასუხმა და ცხარეთ უმტკიცებდა ყველას, რომ კალედინი ისეთს არას დასწერს, რომ ვერ აასრულოსო. კალედინს ისე, როგორც კორნილოვს ყველა განცვიფრებაში მოყავს, მათ ტყვილა კი არ შეუკრავთ „სამხრეთ-აღმოსავლეთის ყაზახებ შორის მტკიცე კავშირიო“ და სხვა. მე შემთხვევა მომეცა უფრო ახლო გავეცნო ყაზახების აზრი ახალ მთავრობაზე. ბაქანზე მრავალი ხალხი იდგა ჯგუფჯგუფათ და ცხარეთ კამათობდენ. რასაკვირველია კამათი იყო ბალშევიკებზე და მენშევიკებზე. ერთ-ერთ ჯგუფიდან ხნიერი დონელი ყაზახი ამტკიცებდა, რომ ყაზახებს რასაკვირველია არავითარი მეფე არ სურთ, მაგრამ მთავრობას ისინი აუცილებლათ იცნობენ, თუ იგი (მთავრობა მთარგ.) სამართლიანათ გადაჭრის მიწის საკითხს.

„ჩვენ გვეუბნებიან, რომ ბალშევიკები ზავის ჩამოგდების მომხრე არიანო— ჩვენც ამის მომხრენი ვართ! გვეყო რაც ვეწამეთ და სისხლი ვღვარეთ. ახლაც თუ კიდევ ჩვენი მიწაც წაგვართვეს და დაგვინაწილეს, ჩვენ ეს არ გვინდა— უცხოელებს ჩვენს მიწას ვერ მივსცემთ.

ერთმა მსმენელმა ყაზახმა განაცხადა: ახალი მთავრობის გამოცემული დეკრეტია—სადაც დასაბუთებულია ყაზახების მიწების ხელშეუხლებლობა“

— ასე თუა, ცხადია, ჩვენც ახალი მთავრობისკენ ვიქნებით! სთქვა მოხუცმა ყაზახმა.

— თუ კალედინი არ მოგცემს ნებას, რომ ახალი მთავრობისაკენ იყო?

— ჩვენ მთავრობას პატივსა ვსცემთ, ამბობდა მოხუცი დონელი, მაგრამ თუ იგი არ მოგვეწონა, მაშინ კი ჩვენ ჭკუაზე ვივლით.

აი, მე თვითონ გიამბობთ, განაგრძო ყაზახმა, როგორ მოვედით ჩვენ კიევიდან.

ჩვენი დივიზია უნდა გამგზავრებულიყო პოლტავაში, მაგრამ კიევში დააკავეს! რაშია საქმე? ვიკითხეთ. თურმე ჩვენ კიევში გვაგზავნიდენ ბალშევიკების დასამშვიდებლათ. დაგვალპეს სწორეთ ვაგონებში! ცხენებს თივასაც აძლევდენ, რის გამოც გვეხოცებოდენ. ბოლოს ჩვენ გამოვედით მოთმინებიდან და განვაცხადეთ: მეტი მოთმენა აღარ გვყოფნის: 17 ცხენი მოგვიკლათ, ან ჩვენ ან თქვენ!.. გვიბრძანეს მაშინ კიევის მთავარ ქუჩისაკენ კრეშჩატიკისკენ წასვლა— იუნკრების დასაწყნარებლათ. ჩვენი ეშალონი დაიძრა ქუჩისკენ. მალლობებიდან დავინახეთ თხრილები, ზარბაზნები, ჩვენი ვაგონების წინააღმდეგ—ჩვენ კი წითელი დროშები ავმართეთ. მოვიდა ქვეითი ჯარი და გვეუბნება: „თქვენ მიბრძანდით თქვენს დონში და იქ მოაწესრიგეთ თქვენი საქმეები, ჩვენ «რადას“ მხედრები ვართ, ჩვენ ჩვენი საქმეები კარგათ ვიცით, თქვენი ჩარევა არაფერ შუაშია!

ჩვენ განუცხადეთ მათ, რომ სულითა და გულით ხალხისკენა ვართ; დავანახეთ წითელი დროშები. უთხარით მათ, რომ ჩვენ მათ წინააღმდეგ არ წავალთ. ჩვენს ეშალონსაც უკან დავაბრუნებთ— მხოლოთ ხალხის სამსახურს კი ვერავინ გვასწავლის... ამდენიც აღარ გვაცალეს.. იუნკრებმა არსენალი დაიჭირეს. მოხდა შეტაკება. ბალშევიკებმა სავსებით გაიმარჯვეს, უკან დაიბრუნეს საწყობები და უფლება. დამარცხებული ჯარის ნაწილი კი ნოვოჩერკასისაკენ გაეშურა ჭკუის სასწავლათ“. დაამთავრა ყაზახმა სიტყვა.

კალედინი და მისი ამყოლ-დამყოლი ოფიცრობა რა თქმა უნდა შეეცდება პური არ მისცეს ხალხს—ისე როგორც ამას სჩადიან „პომეშჩიკები“ სტავროპოლის გუბერნიაში, მაგალითად პურის ფასმა მეტათ აიწია. ცდილობენ გზები გააფუჭონ და ხალხი დაამშიონ. ჩრდილო კავკასიისაკენ კალედინი ვერ შესძლებს წასვლას, რადგან ადგილობრივი საბჭოები ამის ნებას მას არ მისცემენ. რასაც ყვითელი პრესა სწერს კალედინზე, რა საკვირველია, ეს მათი ფანტაზიის ნაყოფია. განა რეაქციონერებს სხვა იარაღი რაიმე მოეპოვებათ, გარდა სიცრუისა?!.

(გაზ. „პრავდის“ კორესპონ.)

## რუსეთის ქრონიკა

### უსირცხვილო ტყუილები.

ესერები და მენშევიკები ავრცელებენ საზიზღარ ჭორებს ზავის შესახებ, ვითომც ნემცებმა წამოაყენეს შემდეგი პირობები: 1) რომ ნემცებმა ვითომც მოითხოვეს პეტროგრადის გაწმენდა;

2) აგრეთვე გაწმენდა ფინლიანდიის;

3) რომ ისინი ვითომც მოითხოვდენ უკან დახევას 100 ვერსზე;

4) რომ მათ ვითომ მოითხოვეს რუსის ჯარის იარაღის აყრა;

5) ვითომც ისინი მოითხოვდენ თავისთვის მონოპოლიას რუსეთის პურის საზღვარ-გარეთ გატანაზე.

ჩვენ, რწმუნებულები, ვაცხადებთ კატეგორიულათ, რომ ყველა ეს ცნობები უსირცხვილო ტყუილია. ბრესტის დელეგაციას არავითარი მაგვარი პირობები არც ოფიციალურათ, არც არაოფიციალურათ არ წამოუყენებია. ამასთანავე ვაცხადებთ, რომ ბრესტის დელეგაციასთან შლეურშლეპს არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა, დელეგაციაში არ შედიოდა და არც არავითარი კავშირი მასთან არ ჰქონდა.

### პური პეტროგრადისათვის.

წარსულ კვირაში პეტროგრადს დაბრუნდა სასურსათო საქმეთა კომისარი ამხ. თეოდოროვიჩი, რომელმაც ციმბირში იმოგზაურა და ციმბირის მუშათა და სალდათთა საბჭოებთან მოაწყო სასურსათო სექციები. მისი სიტყვით ციმბირიდან პურის გადმოტანა შეფერხებულია მხოლოთ იმ საბოტაჟის მეოხებით, რომელსაც მთავრობას ზოგიერთი გზები უცხადებენ, მაგალ. ომსკის რკ. გზა. ტომსკის რკ. გზა კი პირიქით დიდ დახმარებას უწევს საქმეს. მან აღუთქვა მთავრობას, რომ პურს დაუბრკოლებლივ მიაწვდის პეტროგრადს. კრასნოიარის მუშათა საბჭომ კიდევ თავის მხრით იკისრა, რომ სპეციალურათ პეტროგრადის საჭიროებისთვის გაიტანოს ციმბირიდან ნახევარი მილიონი ხორბალი.

### ბანკების კანტროლი.

სახელმწიფო ბანკის კომისარის ობოლენსკის განკარგულებისამებრ ადგილობრივმა საბჭოებმა რუსეთში ბევრ ალაგას ბანკის და ხაზინის კანტროლი უკვე შემოიღეს. კომისარმა ობოლენსკიმ ამაზე უკვე მიიღო დეპეშით ცნობები პროვინციიდან. მაგალ. ადგილ. საბჭოებს დაუნიშნავთ კომისარები შემდეგ ქალაქებში: ცარიცინში, ტვერში, პსკოვში, კაზანში, სევასტოპოლში, კრემენჩუგში და ნიჟნი-ნოვგოროდში.

### მოსკოველების საბოტაჟი.

მოსკოვის ქალაქის ყოფილი მოსამსახურეები არა სცნობიან და ახალ მთავრობას „საბოტაჟ“ უცხადებენ. 3 დეკემბრიდან მათ ქალაქში საერთო „გაფიცვა“ გამოაცხადეს. გაფიცვა უნდა შეასრულონ შემდეგი გეგმით. სულ სამ რიგათ არიან გაფიცულები იმის და მიხედვით, თუ რამდენათ აუცილებელ საქმეს ემსახურება ის. 3 დეკემბერს, მაგალ. გაფიცულნი არიან ყველა სასწავლებლებში, ბიბლიოთეკებში, ქალაქის სტამბაში, ქალაქის შენობების გამგეები, საზოგადო სასადილოს მოსამსახურენი, მომრიგებელი მოსამართლეები, საადრესო სტოლი და სხვა ასეთი დაწესებულებანი.

### გზათა სამინისტროში.

გზათა სამინისტროს ცნობით რკინის გზებზე პირველ საჭიროების საქონლის გადატან-გადმოტანა სრულიათ დამაკმაყოფილებელია.

ამას ნათლათ გვიჩვენებს შემდეგი ციფრები: პეტროგრადის მცხოვრებთათვის, რომ სულზე 3/4 გირვანქა პური მიეცეს, საჭიროა დღეში 40 ვაგონი ფქვილი. 29 ნოემბერს მოვიდა 36 ვაგონი, 30-ს—34 ვაგონი, ხოლო 1 დეკემბერს 38 ვაგ. ასეთივე წარმატებით მიდის სათბობი მასალის შემოტანაც. ყველა ეს ფაქტები საქონლის შემოტანის საქმის კარგათ მოწყობას.

## ციმბირის მუშათა საბჭოების გაერთიანება.

სწორეთ იმ დროს, როცა პეტროგრადსა და მოსკოვში მუშათა და გლეხთა რევოლიუცია ახლათ გაჩაღებული იყო, ციმბირის ცენტრში, ქ. ირკუტსკში მთელი ციმბირის მუშათა, სალდათთა გლეხთა დეპუტატებს საბჭოთა სიეზდი გაიმართა. სიეზდს 186 დელეგატი დაესწრო.

სიეზდმა პირველ სხდომაზედვე ის აზრი გამოსთქვა, რომ ძალა-უფლება დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს საბჭოებს. მემარჯვენე ესერებმა პროტესტის ნიშნათ სხდომა დასტოვეს. ამის შემდეგ სიეზდმა რამდენიმე რეზოლიუცია მიიღო, რამდენშიც სახალხო კომისარების საბჭოს პროგრამიდან გამომდინარეობს.

ციმბირის საბჭოებს საერთო ხელმძღვანელობისათვის სიეზდმა თავისი წრიდან აირჩია ციმბირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეთ აირჩიეს ბალშევიკი, ამხ. ბორისი შუმიაცკი.

ამ ჟამათ ციმბირის აღმასრულებელი კომიტეტი—ცენტრო-სიბირი დაუღალავათ მოქმედებს. მან უკვე შეკრა კავშირი ციმბირის მუშათა და სალდათთა ყველა საბჭოების ადგილობრივათ თავისი წარმომადგენლების დაგზავნით და დრო გამოშვებით საერთო ციმბ. აღმ. კომიტეტ. სხდომების გამართვით. მას საკუთარი ორგანოთ აქვს ამ ხანათ —„ცენტრო-ციმბირის უწყებები“, თუმცა მუშეობის პირობები იქ მეტათ ძნელია. ქალ ირკუტსკში შუამავლები ძალას წარმოადგენდენ, მარა ისინი საბჭოებს, კი არ არიან ძლიერნი—საბჭოებმა დიდი ხანია ისინი უარყვეს არამედ იმით, რომ მათ ხელშია კიდევ პრაპორშჩიკების 4 შკოლა და აგრეთვე კაზაკებიც, რომლების მათ მიერვე არიან „თავიდან ფეხებამდე“ შეიარაღებული, მაშინ როდესაც მუშები და სალდათებიც კი იარაღ აყრილი არიან, მაგრამ ცენტრო-ციმბირის თავის გარშემო ახლა თავს უყრის ციმბირის სხვა მრავალ ქალაქებს

და ძალა-უფლების სრულიათ მის ხელში გადასვლის საკითხი მახლობელ დღეების საქმეა.

თუმცა ამას ძალიან უშლიან ხელს ადგილობრივი შემთანხმებლები—შუამავლები. მათ ხელთ იგდეს ტელეგრაფი და ამით ციმბირი მთელ რუსეთს მოსწყვიტეს. ტელეგრაფს ტყვიის მფრქვევლებით იცავენ, რომლებიც თითქმის ყველა, რაც კი ამ ქალაქში იშოვება მათი მომხრე იუნკრების ხელშია. სახალხო კომისარების საბჭო არ დაყოვნებს და ზომებს მიიღებს, რომ ციმბირთან კავშირი კვლავ აღსდეს, ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ ციმბირის ყველა პროვინციალური საბჭოები მთელი თავისი ძალღონით ცდილობენ რუსეთის ცენტრთან კავშირის აღდგენას.

## საზღვარ-გარეთ

### გერმანიის მართველ წრეებში.

ბერნიდან იუწყებიან, რომ გერმანიიდან მოსული ცნობების თანახმათ ჰინდენბურგის და გუდენდორფის ბერლინში წასვლა ახალი იერიშია სამხედრო პარტიისა რეიხსტაგის უმრავლესობის პარტიაზე. მას აქეთ, რაც ბოლშევიკებთან სამშვიდობო მოლაპარაკება დაიწყო, რეიხსტაგის უმრავლესობის პარტია გავლენას ახდენს მთავრობაზე და ცდილობს აიძულოს ის სცნოს აღმოსავლეთისთვის პრინციპი „უანექსიო და უკონტრიბუციო“ ზავისა. უმრავლესობის პარტია მოითხოვს, რომ გერმანიამ აშკარათ გააცხადოს თავისი სურვილი რუსეთის და პყრობილ ადგილების განთავისუფლების შესახებ. ამას გარდა, უმრავლესობის სოციალისტური პარტიები მოითხოვენ, რომ რუმინიის დაპყრობილი ადგილები რუმინიის ნაციას დაუბრუნდეს სავსებით.

### რუსეთის მთავრობას.

(გაზ. „პრავდიდან.“)

მე ბოლშევიკი არა ვარ და არც ვფიქრობ ბოლშევიკების პარტიაში ჩაწერას.

მე რუსეთის ის მოქალაქე ინტელიგენტი გახლავართ, რომელიც ერთგვარ ავათმყოფობას შეუპყრია: ეს არის ფიქრი მშრომელ მასსაზე გლეხების, მუშების და ყველა დაჩაგრულთა ბედზე.

ეს ოცდახუთი წელია რაც მე ავათ ვარ ამ სენით, არა იმიტომ რომ მე მაინცა და მაინც ისეთი მოყვარე ვიყო მშრომელი ხალხის, როგორც მაგ. „ცოდვების მომნანიებელი აზნაური“ გერცენი, ლავროვი, კროპოტკინი, პლეხანოვი და სხვა,— არამედ იმიტომ, რომ მე თვით ღარიბ ღატაკი მუშის ოჯახიდან ვარ და მუშის სულის კვეთება თვით ჩემმა ინტელიგენტურ პროლეტარულმა შრომამ მასწავლა და ეს იმ სუსხიან სინამდვილეში, რომელსაც სკოლა ეწოდება. ეს 15 წელია, რაც გამეწყობა მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვას ვცდილობ გამყვლეფელებისაგან. სამაგიეროც გადამიხადა შეუბრალებელმა სინამდვილემ: მაგემა ციხეც, ციმბირიც და სამშობლოდან გაძევებაც. მე გაბედულათ ვიტყვი, რომ არათუ მარტო ვიცი, არამედ გრძნობ მშრომელის სულსა და გულს და ამიტომაც მინდა ამ თქვენს მეტათ მძიმე პასუხისმგებლობის დროს, როცა თითქმის ყველა გაზეთები, მემარცხენე ორგანოებიც—კი თქვენს ლანძღვა-გინების მეტს არას აკეთებენ და წარმოიდგინეთ თვით ზოგიერთი მახლობელი ამხანაგებიც გტოვებენ, მინდა ჩემი აზრი და გულის ნადები მოგაწვდინოთ და გაგიზიაროთ.

გეუბნებით არა როგორც მარტო ინტელიგენტი, რომელსაც თეორიაში და პრაქტიკაში შეუსწავლია სოციალისტური მოძრაობანი, არამედ, როგორც მშრომელთა ღვიძლი შვილი, ვისაც საკუთარი გრძნობით შეუძლია გადმოგცეთ მშრომელის გულის ნადები და ჯერ კიდევ გამოუთქმელი ფიქრები. არ შეღრკეთ იმით, რომ თქვენ ომი გამოგიცხადათ ყველა გაზეთებმა; არ შეღრკეთ იმიტომ, რომ თქვენს წინააღმდეგ დაირაზმა სხვა და სხვა დაწესებულებების „ჩინოვნიკობა“, ვინაიდან თქვენ რუსეთის დიდ უმეტესობის—გლეხობისა და მუშების ბედიღბლის გამომხატველი ხართ და კისრულობთ კიდეც მის გადაჭრას—მთელი სახელმწიფოს მოწყობას ცდილობთ.

მრავალ მილიონიანი მშრომელი ხალხი თქვენთანაა, ის თქვენ მოგყვებათ.

ის თქვენ გიჭერს მხარს, რადგან ჩვენს ქვეყანას ესაჭიროება ძლიერი მთავრობა და თქვენც დაამტკიცეთ ეს თქვენი ნიჭითა და ღირსებით, ჩვენს ქვეყანას სწყურია ზავი, მიწა და ძირიდათი ცვლილებების მოხდენა წარმოებისა და ფინანსიურ კანონმდებლობაში უმრავლესობის სასარგებლოთ და თქვენ დაამტკიცეთ, რომ ყველა ამეების მიცემა შეგიძლიათ მშრომელთა სასიკეთოთ და მემამულეებისა და კაპიტალისტების ასალაგმავათ. თქვენს დეკრეტებში, რომლებიც სავსებით არ არის ზოგ შეცდომებისაგან თავისუფალი, თქვენ ყველას ნათლათ დაანახვეთ, რომ მზათა ხართ ყველა პარტიისაგან მიიღოთ დებულებანი, ოღონდაც იგი ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოთ გამოდგეს ამით თქვენ ვიწრო პარტიული პირბადე ჩამოიხსენით და თვენი უხვი გული ყველას დაანახეთ. პარტიული სექტანტობა და დოქტრინერობა რუსეთის მრავალ ინტელიგენტს აბრმავებს, თქვენ კი მხოლოდ ხალხის კეთილდღეობა დაისახეთ თქვენს იდეალათ და მოუწოდეთ მშრომელთ, რომ მათ თავითვე გამოსჭედონ თვისი საკუთარი ბედ-იღბალი.

80 პროცენტი მცხოვრებლებისა, რომელთაც არ იციან წერა-კითხვა, მოკლებულნი არიან გამოსთქვან თავიანთი მკვეთრი აზრი იმ მომწამლელთა წინააღმდეგ, იმ ერთი მუჭა ინტელიგენტთა სალაგმავათ, რომელთაც თავიანთ გაზეთები ხალხის ინტერესების დამცველათ მოაქვთ. თქვენ მხარი დაგიჭირათ და მთავრობათ გამოგაცხადათ ორივე სატახტო ქალაქების მუშებმა და ჯარისკაცებმა, აგრეთვე—შემდეგ სხვა ქალაქებმაც. მხოლოდ მეორე მხრით კი თქვენს წინააღმდეგ დაირაზმა გზა დაბნეული იუნკრობა, აფიცრობა, ჟურნალისტები და ჩინოვნიკები. ესეც თავდებია იმისი, რომ არა მარტო ხიშტებიანი ძალებია თქვენს მხარეზე, არამედ თვით ცხოვრების სინამდვილეც თქვენკენაა.

ვიკითხოთ, ვინ არიან თქვენი ჯარისკაცები? ესენი სამხედრო „პრეტორიანცები“ კი არა გუშინდელი მუშები და გლეხები არიან ეს ჯარისკაცები ფეხზე დ დგენ. რამდენი თავგანწირულება უნდა ქონებოდათ თავისუფლებისათვის იმ მუშებს, რომლებიც დღეს კარგ ქირას იღებდენ და საჭიროების დროს კი ჯარისკაცებთან ერთად რევოლიუციონურ ფერხულში ჩაებენ.

რუსეთის მცხოვრებთა 80 პროც. მართალია თქვენზე გაზეთებში არაფერს არ სწერს, მაგრამ ის არც თვითმპყრობელობის დროს სწერდა და არც ამ 8 თვის განმავლობაში თებერვლის რევოლიუციის შემდეგ,—მაგრამ მათ მშვენივრათ გამოიხმაურეს რევოლიუციით მოპოვებულ თავისუფლებას, მიწის საკითხს და ამ უკანასკნელათ კი ზავსაც. არ შეეძლოთ ეს ხმა არ გაეგონათ „ჩინოვნიკებსა“ და ჟურნალისტებსაც.

გავა კიდევ რამოდენიმე დღე, შესდგება დამფუძნებელი კრება, და მთელი ქვეყანა გეტყვის თქვენ შესაფერ სიტყვას. მე მწამს, რომ არა მარტო მუშები და გლეხები, არამედ ხალხის ყველა კეთილის მსურველნი მხოლოთ ბოლშევიკებს მისცემენ ხმას ოქტომბრის განმათავისუფლებელ მოძრაობის ღირსების აღსანიშნავათ. მე კი ამ ჩემი თქვენდამი წერილით ვიჩქარი დავეხმარო იმ რუსეთის მოქალაქეთა 20 პროც., რომელსაც შეუძლია ისარგებლოს დაბეჭდილი სიტყვით. ნუ იწამლება ის სხვა და სხვა გაზეთებით და ნურც იმ პოლიტიკით და საბოტაჟით, რასაც რუსეთის სხვა და სხვა დაწესებულებების „ჩინოვნიკები“ აწარმოებენ ერთხელ და სამუდამოთ დარწმუნდენ რომ მარტო ხიშტების ძალა როდია მუშათა და გლეხთა მთავრობის დამცველი, თვით ცხოვრების სინამდვილე და სიმართლე მის მხარეზეა. სექტანტობა და პარტიული სივიწროვე დეე შერჩეს ზოგიერთ ჯიუტ პარტიულ ინტელიგენტებს,—თქვენ კი მოუწოდეთ შრომის შვილთადმი თანამოძმე ინტელიგენციას! ეს ძალები მუდამ განუყრელათ თქვენთან იქნებიან!.

ინტელიგენტი ხალხიდან.

## პროვინცია.

### ქ. სამტრედია.

სამშაბათს 21 ნოემბერს ადგილობრივ რ. ს. დ. მ. პ. ჯგუფმა ქალაქის სამკითხველოში მოიწვია ორგანიზაციის შესაკრეფათ კრება. კრებას დაესწრო ჯარისკაცები და სხვა ამხანაგ-თანაგრძნობელი. თავმჯდ. აირჩიეს ჯარის კაცი ვ. ლომინაძე, მდივ. სპ. კაკაჩეიშვილი. დღიურ წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება, 2) კოლექტივის არჩევა 3) წევრთა ჩაწერა და საწევრო გადასახადი მოხსენება გააკეთა რუსულ ენაზე სპირ. კაკაჩეიშვილმა, რომელიც შეეხო. რევოლიუციის და მის შედეგებს, აღნიშნა, რომ ამ რევოლიუციაში დიდი როლი ითამაშა პროლეტარიატმა და არა ბურჟუაზიამ; დიდი შეცდომა ჩაიდინეს ჩვენმა „ამხანაგებმა“, მენშევიკებმა, რომ მთელი რვა თვის განმავლობაში მასთან (ბურჟუაზიასთან) კოალიცია შეკრეს და მით კინაღამ დაღუპეს რევოლიუციათ. მიზანი ბურჟუაზიის სხვაა, პროლეტარიატის სხვა, მაშასადამე მათ შორისაც იმ თავითვე შემაერთებელი ძაფი უნდა გაწყვეტილიყო, თუ გვინდოდა რევოლიუციის გაღრმავებათ. ამის შემდეგ აირჩიეს კოლექტივი შვიდი პირისაგან. სამი ჯარის კაცი ოთხი მუშა, რომლებსაც დაევალათ სახლის შოვნა და კლუბის მოწყობა. საერთოთ ყველა დამსწრენი სიხარულით ეწერებოდენ წევრათ და ამ სიხარულს ხატავდენ მით, რომ ორგანიზაციას წირავდენ ერთდროულათ ზოგი 10 მანეთს ზოგი ხუთს და სხვა. დიდის კმაყოფილებით დაიშალენ და ულოცავდენ ერთიმეორეს ამ დღესასწაულს, რომ აქაც მენშევიკების სამეფოში საფუძველი ჩაეყარა იმ ორგანიზაციას, რომელსაც ისინი სასტიკათ ებრძვიან; სასიხარულოა ეს იმიტომ, რომ აწი გაიფანტება ჭორები, რომლებიც მენშევიკებმა დაყარეს ჩვენს შესახებ, თითქოს ფედერალისტებს დავუმეგობრდით და მათთან ერთათ ვღუპავთ რევოლიუციას, აწი ყოველივეს ფარდა აეხდება, და თეთრი და შავი გამოჩნდება.

კვირას 19 ნოემბერს რკინის გზის კლუბში ამხ. ვ. ლომინაძემ წაიკითხა ლექცია „ოქტომბრის რევოლიუცია“, რუსულ ენაზე. ხალხი საკმაოთ დაესწრო მხოლოთ არ ჩანდენ მენშევიკ „ობორონცები“

—სანი—

## კრებები და მიტინგები.

2 რაიონის კომიტეტმა (ბოლშევიკების) გახსნა სამკითხველო პარტიის წევრების და თანამგრძნობთათვის კომიტეტის ბიუროში (ელისაბედ. ქ. № 10). შესვლა უფასოა. ღიაა საღ. 6—8 საათ.

პირველი ნოემბრიდან გაზეთი

# ბრძოლა

გამოდის ყოველდღიურათ.

გაზეთის ფასი: წლის დამლევამდე ღირს 2 მ.
ერთი თვით „ 2 მ.
ცალკე ნომერი „ — 10 კ.
მეგაზეთეებს მიეცემათ ცალი 07 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება: 1) „ბრძოლის“ და „კავკ. რაბოჩის“ კანტორაში, თფილისი, გიორგის ქუჩა № 1.
2) ჩვენი პარტიის თფილისის ოთხივე რაიონის ბიუროში.
3) ჩვენი პარტიის პროვინციის ყველა ორგანიზაციებში.

თფილისის ამხ. მუშებს და გაზეთის გამავრცელებლებს ვთხოვთ გაზეთი მოიკითხონ და გასავრცელებლათ წაიღონ სტამბიდან ყოველ საღამოობით, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. სტამბა—ამხანაგობა „ქართლი“ ძველი სემინარიის ეზოში. შესავალი ლორის მელიქოვის ქუჩიდან. რედაქციის ადრესი: თფილისი. განოვის ქ. № 3.

ამხანაგებო! ხელი შეუწყვეთ ყოველმხრივ „ბრძოლას“: მუშათა ორგანო მხოლოთ მუშებისავე ძალღონით და საშუალებით შეიძლება არსებობდეს.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „ქართლი“, ლორის-მელიქოვის ქუჩა.